



12032/3-13/21 2 10122021

12032/3-13/21

10-12-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, 2021 წლის 7 დეკემბერს მოგმართეთ №11911/3-13/21 წერილით, რათა მოგეწოდებინათ სრულყოფილი ინფორმაცია რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების სპეციალიზაციის შესახებ სახელებისა და გვარების მითითებით და რომელ კოლეგიაში/პალატაში არის განმწესებული თითოეული მათგანი.

2021 წლის 9 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მოწოდებული იქნა არასრული ინფორმაცია, კერძოდ, წარმოდგენილია მოსამართლეთა ჩამონათვალი, სასამართლოების მითითებით, ხოლო ზოგიერთი მოსამართლის შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ სპეციალიზაცია, ხოლო ზოგიერთი მოსამართლის შემთხვევაში - მხოლოდ კოლეგია/პალატა.

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

ამდენად, გთხოვთ, ჩემ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ამჯერად მომაწოდოთ სრულყოფილად, კერძოდ, მოსამართლის ვინაობასთან ერთად მისი სპეციალიზაცია და თუ რომელ კოლეგიაში/პალატაში არის იგი განმწესებული.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ბუჩუკური



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 933/3519-03-მ
„15“ 12 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ბუჩუკურს

ქალბატონო ანა,

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2021 წლის 10 დეკემბრს შემოსული თქვენი №12032/3-13/21 წერილის საფუძველზე გაცნობებთ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებში იქმნება შესაბამისი სპეციალიზაციის პალატები/კოლეგია, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შემთხვევაში, ამავე კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიები იქმნება მხოლოდ საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსივობის მქონე სასამართლოებში, სადაც 2-ზე მეტი მოსამართლეა, სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრება მოსამართლეთა სპეციალიზაცია. ამასთან, იმ სასამართლოებში სადაც 2 ან 2-ზე ნაკლები მოსამართლეა მოსამართლეებს განესაზღვრებათ ერთზე მეტი სპეციალიზაცია.


აღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თქვენთვის მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სწორედ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ რეგულაციებს. შესაბამისად, იმ სასამართლოებში, სადაც არის პალატები/კოლეგიები, სპეციალიზაცია მითითებულია პალატების/კოლეგიების სახით, ხოლო იმ სასამართლოებში, სადაც არ არის სპეციალიზირებული კოლეგიები - მითითებულია მოსამართლეთა სპეციალიზაცია (ზოგიერთ შემთხვევაში 2 ან სამივე დარგის (ყველა)).

ცხრილში არის ასევე მითითება მაგისტრატი მოსამართლის შემთხვევაშიც. როგორც თქვენთვის ცნობილია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პარტი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
შემოს. №: 1-18449/21
20 12 2021 წ. უპრს. 2

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლის სპეციალიზაცია არ არის განსაზღვრული, ვინაიდან მოსამართლე იხილავს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შესულ ყველა კატეგორიის საქმეს.

პატივისცემით,

თამარ სულაქველიძე 
ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი